ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48260235
თარიღი:23/01/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №85 განკარგულებისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართის შესაბამისად.

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY
221274546

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურსა და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. დამტკიცდეს საერთო კრებების სხდომის დღის წესრიგი დანართი №2-ის შესაბამისად.

5. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2026 წლის 06 თებერვლის ჩათვლით.

6. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:
მალხაზ ჩხეიძე - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური უფროსი, მობილური N 595959601, ელ.ფოსტა: malkhazchkheidze@gmail.com

იონა ჯოჯუა - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის, ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი, მობილური N 595957598, ელ.ფოსტა: iona.jojua@gmail.com

კობა გოგიძე - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის, ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი, მობილური N 595085202, ელ.ფოსტა: kobagogidze74@gmail.com

8. ბრძანება გამოქვეყნდეს პროაქტიულად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე Facebook -ის გვერდზე, განთავდეს ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობებში, დასახლებებში მდებარე საჯარო შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.

9. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

22127454 6

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი